



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 117

ქ. თბილისი

01/05/2018

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და  
საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-6 მუხლის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების მე-4 მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციებისგან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სესხის ან/და გრანტის სახით მიღებული სახსრებით განსახორციელებელი სატენდერო პროცედურების ჩატარების მიზნით, შეიქმნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ირაკლი ქარსელაძე** - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ბ) სატენდერო კომისიის წევრები:

ბ.ა) **ნუგზარ გასვიანი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ.ბ) **ლევან კუპატაშვილი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ.გ) **ალექსანდრე თევდორაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ.დ) **კობა გაბუნია** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ.ე) **გიორგი წერეთელი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ.ვ) **კარლო ლეკვიშვილი** - დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ბ.ზ) სალომე წურჭუმია - დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ბ.თ) დავით კალაძე - დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ბ.ი) პავლე გამყრელიძე - დეპარტამენტის საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

2. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს. დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური განისაზღვროს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული - სატენდერო კომისიის აპარატად.

3. სატენდერო კომისიის აპარატის პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), რომელიც უფლებამოსილია სატენდერო კომისიის წინაშე წარმოადგინოს სატენდერო კომისიის აპარატი და სატენდერო კომისიას მოახსენოს სატენდერო კომისიის აპარატის მუშაობის შედეგები. სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ამ პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას ასრულებს - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე) ან სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზების სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ან სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის შესყიდვების ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

4. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს:

ა) კომისიის გამართული ფუნქციონირებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა;

ბ) სატენდერო ან საკონკურსო პირობების დამტკიცების მიზნით კომისიისთვის ინფორმაციის წარდგენა;

გ) სატენდერო კომისიის სახელით, სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

დ) საკონკურსო კომისიის სახელით, საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებული საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

ე) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გადარჩევა კომისიისთვის წარსადგენად, მათი სატენდერო ან საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის შემოწმება და შედეგების კომისიის სხდომაზე წარდგენა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

ვ) კომისიის სხდომის ოქმებისა და კომისიის გადაწყვეტილების ამსახველი წერილების წარმოება და მათი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

ზ) კომისიის წევრებისათვის კომისიაზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგის, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საკონკურსო ან სატენდერო

განცხადების უნიკალური ნომრის შესახებ (არსებობის შემთხვევაში), ამასთან კომისიის წევრების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მიწოდება და მათი შენიშვნების განხილვა;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ბაზრის კვლევის წარმოება და შედეგების კომისიისათვის წარდგენა;

ი) კომისიის სხვა დავალებების და სატენდერო კომისიის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული საკითხების განხორციელება;

კ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საორგანიზაციო საკითხების, რაც დაკავშირებულია ელექტრონული ტენდერის და კონკურსის ჩატარებასთან, უზრუნველყოფა.

5. სატენდერო კომისია უფლებამოსილია განიხილოს, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების მიზნით, ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

6. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით/თანადაფინანსებით განსახორციელებელ შესყიდვებთან დაკავშირებით, სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს, დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურს. დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახური განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ - სატენდერო კომისიის აპარატად. სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა - დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურის უფროსმა (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), სატენდერო კომისიის წინაშე წარმოადგინოს სატენდერო კომისიის აპარატი და სატენდერო კომისიას მოახსენოს აპარატის მუშაობის შედეგები. ამ პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს - საერთაშორისო შესყიდვებისა და დონორებთან ანგარიშგების სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე).

7. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით/თანადაფინანსებით განსახორციელებელ შესყიდვებთან დაკავშირებით ამ ბრძანების მე-6 პუნქტში განსაზღვრულმა სატენდერო კომისიის აპარატმა, სატენდერო კომისიის აპარატის უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და დონორი ორგანიზაციების წესების შესაბამისად.

8. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

9. სატენდერო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება უზრუნველყოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **ალექსანდრე თევდორაძემ**. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის არყოფნის შემთხვევაში, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება უზრუნველყოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი წერეთელმა**.

10. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, საკონკურსო კომისია განისაზღვროს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული თავმჯდომარისა და წევრების შემადგენლობით, ხოლო საკონკურსო კომისიის აპარატი განისაზღვროს ამ ბრძანების მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

11. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 3 აპრილის №108 ბრძანება.

12. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

13. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, consisting of a large, stylized initial 'I' followed by several loops and a final flourish.